**გაზეთის ფასი:**

| | | | |
|---|---|---|---|
| 12 | თვით | 10 მ. | — კ. |
| 11 | ,, | 9 ,, | 50 ,, |
| 10 | ,, | 8 ,, | 75 ,, |
| 9 | ,, | 8 ,, | — ,, |
| 8 | ,, | 7 ,, | 25 ,, |
| 7 | ,, | 6 ,, | 50 ,, |
| 6 | ,, | 6 ,, | — ,, |
| 5 | ,, | 5 ,, | 50 ,, |
| 4 | ,, | 4 ,, | 75 ,, |
| 3 | ,, | 3 ,, | 50 ,, |
| 2 | ,, | 2 ,, | 75 ,, |
| 1 | ,, | 1 ,, | 50 ,, |

# ივერია

№ 95 ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი № 95

**წლიური ფასის ნაწილ-ნაწილად შემოტანის ვადა**

1. ხელის მოწერის დროს— 5 მ. და თიბათვის 1 ს—5 მ.
2. ხელის მოწერის დროს— 4 მ., მარტის 1-ს— 3 მან. და მარიამობისთვის 1-ს—3 მ.
3. ხელის მოწერის დროს— 3 მ, მარტის 1-ს— 3 მ. თიბათვის 1 ს—2 მ. და ენკენისთვის 1-ს—2 მ.

ვინც ამ ვადაზედ ფულს არ შემოიტანს, გაზეთის გაგზავნა მოესპობა.



გამოვიდა ‡ ისყიდება წერა-კითხვის საზოგადოების მაღაზიაში ახალი წიგნი

## ლალაში

დრამა-ლეგენდა თ-დ ალ. სუმბათაშვილისა,
ავტორის სურათით და წინასიტყვაობით,
თარგმანი გრ. ყიფშიძისა.
გამოცემა «ივერიის» ამხანაგობისა.

**ფასი ერთი მანეთი**

„ივერიის“ ხელის მომწერთ, რომელთაც სრულად არა აქვთ წლიური ფასი შემოტანილი, წიგნი დაეთმობათ თვით რედაქციაში ათ შაურად.

ვინც ათ ცალსა და მეტს იყიდის ან დაიბარებს რედაქციისაგან, თითო ცალ-ეაეთმობა 70 კაპ. ვინც ორმოცდა ათს იყიდის—60 კაპ. ფოსტის ხარჯი მყიდველმა უნდა იკისროს.

**ამ პიესის წარმოდგენა მთარგმნელის ნება-დაურთველად სცენიური წესდების 1864 მუხლის ძალით აკრძალულია.**

---

**რონინაშვილისეული ფოტოგრაფია.**

1903 წლის პირველ ღვინობისთვიდამ „ქ. შ. წერა-კითხვის გამავ. საზოგადოების

## ფოტოგრაფია

რონინაშვილისეული (ერევნის მოედანი, ხარაზოვის სახლი),

## იჯარით აიღო

და სრულიად ახლად მოვაწყე იარაღით და მომუშავე ხალხით.

ფოტოგრაფია შეასრულებს შემდეგს საქმეებს:

1) გადაიღებს ყოველ ზომის პორტრეტებს;

2) გაადიდებს ძველ თუ ახალ სურათებს;

3) ვინც ერთ დუჟინზე არა ნაკლებ კაბინეტის სურათს შეუკვეთს ჩემს ფოტოგრაფიას, მეტამეტე სურათი, მიეცემა **მუქთად** აკვარელით (ფერადებით) სახეგამოხატული.

4) გარდა ამისა, ფოტოგრაფიას მრავალი აქვს [illegible] სურათები ძველის ნაშთებისა, [illegible]

ყოველ შეკვეთილს საქმეს ფოტოგრაფია შეასრულებს [illegible], კარგად და ზომიერ ფასად.

მოსწავლეთ ფოტოგრაფია გადაიღებს დაკლებულ ფასად.

პატივის ცემით მოიჯარადრე მხატვარი **ტარასი სიმონის ძე მომცემლიძე**

---

## ახალი წიგნი

### ს. ს. მელიქ-ადამოვი

ნაფიცი ვექილი

## პრაქტიკული სახელმძღვანელო

სამოქალაქო სამართლის საქმეთა წარმოების ქაღალდების შესადგენად ამიერ-კავკასიაში,

## ПРАКТИЧЕСКОЕ РУКОВОДСТВО

**для составленія бумагъ по дѣламъ Гражданскаго Судопроизводства въ ЗАКАВКАЗСКОМЪ КРАѢ.**

**ფასი 1 მან.**

ისყიდება ტფილისში: წიგნების ცენტრალურ სავაჭროში და ხიდიკელის და გუტენბერგის მაღაზიებში. ვინც ავტორისაგან დაიბარებს 10 ეგზემპლიარზედ მეტს 10 % დაეთმობათ და გასაგზავნ ფასსაც არ გადაიხდიან.

---

ს.-პეტერბურგის კომპანია

## „ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად.

## დაარსებულია 1847 წელს

| | |
|---|---|
| **მარითადი თანხა** . . . . | **1.650.000 მან.** |
| **სათადარიგო თანხა** . . . . | **2.664.808 მან.** |

### დაზღვევის ოპერაციები.

ა) დაზღვევა საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვით არხით.

ბ) დაზღვევა ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.

გ) დაზღვევა ყოველგვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.

დ) დაზღვევა განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას ასრულებს როგორც გამგეობა ისე კომპანიის სააგენტონი ყველგან. სატრანსპორტო სააგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებს 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისაგან დაზღვევის სააგენტონი.

გამგება ს. პეტერბურგის კომპანიის **ნადეჟდას**„-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სანდო კაცნი და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი ნოვგოროდში.

ტფილისის სააგენტო ქართველთა თავად-აზნაურობის საზოგადოების სახლშია, განოვის ქუჩა, № 6, ტელეფონი № 433. (50—6.—28)



## თავმჯდომარე

გორის საპედაგოგიო საბჭოსი ანასტასიის ქალთა პროგიმნაზიისა

ამით აცხადებს საყოველთაოდ, რომ **გამოსაცდელი ეგზამენიები** მისაღებად, როგორც მოსამზადებელ კლასში, აგრეთვე 6 ძირითად კლასებში, დანიშნულია 20 ამა მაისიდგან.

(3—უ—1).

---

**ტფილისის გუბერნიის თავად აზნაურთა წინამძღოლისაგან**

—

თანახმად უმაღლესად დამტკიცებულ 25 მაისს 1895 წელს ხელმწიფო საბჭოს აზრისა ძალით იმის შესახებ, რომ დაუბრუნდეს ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის დამფუძნებლად მყოფთ თავიანთი შეტანილი ფული ამ ბანკის დასაარსებლად და ფინანსთა მინისტრის მიერ 8 მაისს, 1900 წელს დამტკიცებულ წესთა მე-7 მუხლის ძალით, ამით ცხადდებ საყოველთაოდ, რომ ის, ვის ხელშიც გადავიდა შეხაბამის წარწერით თ-დ ნიკოლოზ შერმაზანის-ძ.ს და თინათინ ივ ნეს ასულის აბაშთა მიერ ხემოხსენებულ ბანკის დასაარსებლად შეტანილის ფულის კვიტანცია ოთხას ოთხმოცდა რვა მანეთისა და 75 კაპ. (488 მ. 75 კ), მოვალეა წარმოუდგინოს იგი ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლს ექვსის თვის განმავლობაში დღიდგან ამ განცხადების დაბეჭდვისა. თუ ასე არ მოიქცა, სამუდამოდ დაეკარგება უფლება იმ ფულის მიღებისა და იგი ფული დაუბრუნდებათ ზემოხსენებულ თ-დ აბხაზთა.

3—6—2.

---

გამოვიდა და ისყიდება ყველგან „ქართველთა შორის წ.-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების მიერ ახლად გამოცემული წიგნები:

## პეპელა

2.

## ალი

მოთხრობა მისივე, ფასი 10 კაპ.

წიგნების გამოწერა შეიძლება ფას-ადდებითაც შემდეგის ადრესით: Тифлисъ Общество распрстр. грамотности.

---

ახალი გამოცემა «წერა-კითხვის საზოგადოებისა»

**გულივერის მოგზაურობა**

სვიფტისა, მრავალის სურათით. 16[illegible] გვ. ფასი 30 კაპ.

**გამოვიდა და ისყიდება**

შორეულ აღმოსავლეთის დაფერადებული

## ქართული რუკა

ცალკე გამოცემა გაზეთ «ივერიისა». ფასი სამი შაური.

ისყიდება რედაქციაში და ყველა ქართულს წიგნის მაღაზიაში.



## იძლევა ქირით

1 მაისიდგან ამა წლისა სათავად-აზნაურო სახლებში, სასახლის ქუჩაზედ მაღაზიები №№ 21 და 97, რომლებიც ამ ჟამად უჭირავთ მინასოვებს. ყოველ ცნობების გაგება შეიძლება იმავე შენობაში მამულების საქმეების მმართველ კანტორაში.

(10—6—5)

---

გამოვიდა და ისყიდება

## კატალოგი

წარმოსადგენად ნებადართულ ქართულ პიესებისა.

**ფასი 15 კაპ.**

ვისაც სურს ყიდვა, მიჰმართონ ქართულ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში ბ-ნ დავ. ნახუცრიშვილს (3—2)

---

ამ წლის 2 მაისს „ტფილისის საკრებულოს“

## საზაფხულო ბაღში

მიხეილის პროსპექტზე

ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების სასარგებლოდ

გაიმართება

## [illegible]

**საქველ-მოქმედო გ ზრითურთ**

ბაღში სეირნობის დროს დაუკრავს ორი ხორო მუსიკისა, იმღერებს ქართული ხორო; გაიმართება საბავშვო გასართობი. კიოსკები, ბედის ქვევრი, ფოსტა ‡ ცოცხალი სურათები. დასასრულ

## ცეკვა

ყოველგვარი შემოწირულება მიიღება: ტფილისში, საზოგადოების კანცელარიაში (სასახლის ქუჩა, თავად-აზნაურობის ქარვასლა) და კნ. ოლგა თადეოზის ასულ ჭავჭავაძესთან (ელისაბედის ქუჩა, სახლი № 95). (20—13)

---

## კერძო სამკურნალო

**ექიმის დ. ა. გედევანიშვილისა**

კუკია, ველიკოკნიაჟესკის ქუჩა, (Набережная) სახლი აბრამოვისა № 9 მიხეილის ქუჩიდგან-კი № 34.

**ტელეფონი № 274.**

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

**დილით:**

**ა. ნ. დიასამიძე.** 11—12 საათ.

**ა. ტ. მულინი**—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულობით შეპყრობილთ. 9—10 ს.

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. და ბავშ. 10—11 ს.

**ა. დ. ლამბაშიძე.** შინაგ. და ბავშვ. ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 11—12 საათ.

**ლ. მ. მონინი.** ქალის., საბებ. და ბავშვ. (შემოწმება ძიძისა) ოთხშ., პარასკ. და კვირა 11—12 ს.

**დ. ა. გედევანიშვილი**—შინაგან, ნერვებისა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ექიმი ქალი **მ. ქ. იოსელიანი**—ქალისა და საბებიო 12—I ს. სამშ. ხუთშ. შაბათ.

**ზრ. მ. სობოლევსკი**—დოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით 1—2 საათ.

**პ. ა. ბეიერი.** შინაგანი და ბავშვებისა. 1—2 საათ. ყოველ დღე.

**მ. მ. მანსვეტოვი**—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 საათ.

**საღამოთი:**

**ა. გ. მაღალაშვილი.** შინაგ. ბავშ. ყვავილის აცრა და მიკრო-ქიმიური გამოკვლევანი 5—6 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. სამკურნალო გაფართოვებულია ოცი კრაოტით.

46—8 ტელეფონი № 274

(წ.)



## პირველი კერძო სამკურნალო

**ექიმის ნავასარდიანისა**

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

**დილაობით:**

**უ. მ. ჩიქოვანი.** 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა. შინაგანისა და ნერვების ავადმყოფობისა.

**მ. გ. აპეტისიანცი.** 11—12 საათამდე—კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ვადმყოფობისა.

**ი. ბაბანასოვი.** დილის 10—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

**ქ. ი. გძელიშვილი.** 12—1 საათ. ყელისაა ყურისა და ცხვირის სატკივრისა.

**გ. ა. თარხანოვი.** 1—1½ საათ. შინაგანის და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი.** 1—1½ საათ. შინაგან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით.

**გ. სოლოლაშვილი.** 9—11 საათამდე კბილების ავადმყოფობანი.

**საღამოობით:**

**ნ. ნ. როხტომბეგოვი.** 5—6 ს. ხირურგიულის და კანის ავადმყოფობისა (ელექტრო-ტერაპია

**გ. ს.ე ლვი.** 6—7 საათ. ნერვებისა (ელექტროტერაპიისა), შინაგანი და ვენერიულის ავადმყოფობისა.

ქალი ექიმი **ა. ი ზჩერბინინა** [illegible]—7 საათ. ქალისა და საბებიო ავადმყოფობა..

**გ ა. თარხანოვი** 7½—[illegible]

[illegible]

**ს. ტ. ა ჯან ტაკი** [illegible] სახლში და სერვეულ [illegible], [illegible] გამართავს [illegible] გიმნასტიკას ექიმის [illegible]ნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი **ქ. გძელიშვილი.**

Первая частная лѣчебница д-ра *Навасардіана.* Тифлисъ противъ памятн. Воронцова. წლ.

---

**ქართველნი მკურნალნი:**

**გედევანიშვილი მიხეილ,**—ყორღანოვის ქუჩა, № 16, საკუთარი სახლი. სადამოს 6—7 საათამდე.

---

**გძელიშვილი კონსტანტინე** ელისაბედის ქუჩა. სახლი მილოვისა. № 5

---

**გაბაშვილი გრიგოლ,**—კოჩუბეის ქუჩა, № 19.

---

**ვაჩაძე სპირიდონ.** პეტერბურგის ქუჩა საკუთარი სახლი.

---

**მარიამ ნიკოლოზის ასული ზაალიშვილისა,** ელისაბედის ქუჩა, № 41.

---

**დიასამიძე ალექსანდრე,**—მიხეილის პროსპექტი, სახლი დოლუხანოვისა, № 123.


---

## ომის ამბები

**დეპეშები და წერილები.**

—

იაპონელების სურვილი.—იაპონელების მიერ სამშობლოს სიყვარული.—რუსეთის ფლოტის გაგზავნა.—წვრილი ცნობები.

ერთს წარჩინებულ იაპონელს ნაგასაკში უთქვამს ჟურნალისტისათვის:

იაპონიას არ უნდა არც გამწვავება და არც გაჭიანურება ომისა. ჩვენ ვიცით, რა მსხვერპლსაც მოითხოვს, თუნდ მხოლოდ ფინანსიურის მხრივ: ყოველ კვირას 20 მილიონსა ვზარალობთ—ეს მეტად საგრძნობელია და დამღუპველი ჯერ ნორჩისა და ღარიბის სახელმწიფოსათვის. ჩვენ გვინდა რუსეთის ფლოტი დავაუძლუროთ დიდს ოკეანეზე და კორეიაში დავმყარდეთ. როდესაც ამას შევასრულებთ, მაშინ შევუდგებით ზავის დადების პირობების გამორკვევას. მანამდე-კი სულ მეტია

სამშვიდობო ხელშეკრულობაზე ლაპარაკი და პროექტების განხილვა ანუ შუამავლობა (ნოვოსტი).

—

«რაზვედჩიკის» კორესპონდენტი ამიერკავკასიაში ყოფილა და აქედგან შორეულ-აღმოსავლეთისკენ წასულა. გზაზედ შეუნიშნავს, რომ დაღესტნელები და ოსები ძალიან მოწადინებულნი არიან, ომში მონაწილეობა მიიღონ. ყოველ სადგურზედ მთის ხალხი თავს იყრის, რომ ომის ამბები გაიგოს.

— გაგვაგებინეთ, როდის მოვა ბრძანებაო?—უკითხავს ერთს დიდტანა ოსს კორესპონდენტისათვის.

— რა ბრძანება?—გაკვირებით უკითხავს კორესპონდენტს.

— ხელმწიფემ ბრძანა, ვისაც უნდა, წავიდეს და იაპონელებს ეომოსო. ჩვენში ორი პოლკი უნდა მოაგროვონ. მაგრამ ეს ცოტაა, ოჰ, რა ძალიან ცოტაა...

— ჩვენ ყველას გვინდა წასვლა,—ისმის აქედ-იქიდგან (ნ. ვ.).

—

მისიონერ კარლ მუნცინგერს, რომელიც დიდხანსა სცხოვრობდა იაპონიაში, თავისი შრომა ცალკე წიგნად გამოუცია, რომელშიაც, სხვათა შორის ამბობს, იაპონელს თავის სამშობლო მეტის-მეტად უყვარსო. სამშობლო მისთვის ყოველივეა, მისი იდეიალი მისწრაფება, მისი წმიდათა წმიდაა. მთელი იაპონია ერთი დიდი ოჯახია, რომლის წევრები მჭიდროდ არიან ერთმანეთთან დაკავშირებულნი. მთელის ოჯახის კეთილ-დღეობას კერძო წევრნი, თუ საჭიროებამ მოითხოვა, დიდის სიხარულითა და საოცარის სიდინჯით სწირავენ თავს. პატრიოტიზმი—გვირგვინია და მასთან საზოგადო კეთილმოქმედების საძირკველი. ესე განუსაზღვრელად რომ უყვართ იაპონელებს თავისი სამშობლო, რასაკვირველია, კმაყოფილნი არ არიან ეხლანდელის შევიწროვებით და ოცნებობენ. როდის იქმნება იაპონია გაფართოვდეს და გაძლიერდესო. (პ. ვ.).

—

მდინარე იალუზე გადასვლის შესახებ ერთი საფრანგეთის მეზღვაურთა აფიცერი სწერს „ტაიმში“, მარჯვენა ნაპირზე, რომ მცირეოდენი არტილერია დააყენონ, მარცხენა ნაპირიდგან მთელი კორპუსიც ვერას გახდება და მდინარეს ვერ გადავაო. (ნ. ვ.).

—

რა იქმნა ანუ სად არის იაპონელების მეორე ლაშქარი, გენერალ ოქუს სარდლობით, რომელშიაც არის 1, 3 და 4 დივიზიები და სათადარიგო ბრიგადები? რუსეთისა და უცხოელების მწერლობას ეს ვერ გამოუცვნია, თუმც ამაზედ ბევრი რამ იწერება. ჰფიქრობენ, იაპონელები რომ იალუს გადავლენ, მაშინ პორტ-არტურის აღებას შეუდგებიან; ლიაოდუნის ნახევარ-კუნძულზე გადიყვანენ ჯარს ორ მხრიდგან აღმოსავლეთ და დასავლეთიდგან და პორტ-არტურს ერთბაშად დაეხვევიან ზღვა-ხმელეთიდგან. პორტ-არტურს რომ ალყა შემოარტყან, იაპონელებს უნდათ გადასვან ჯარი ძინ-ჯოუსთან და დალიანვანზე. მეორე ლაშქარს იაპონელები ამისათვის ზოგავენ, მაგრამ ეს ლაშქარი სრულიად საკმარისი არ არის რომ პორტ-არტურსაც ალყა შემოარტყაო და რავდენსამე ადგილსაც ფეხი მოიმაგროს. მესამე ლაშქარი-კი, რომელშიაც მე-5, 8, 10 და 11 დივიზია უნდა იყოს, ჯერ არ შეუკრებიათ (ნოვოსტი).

—

გაზეთი «ტაიმსი» ამბობს, ჯერ რუსებს იმდონი ჯარი არა ჰყავთ გადაყვანილი, რომ მდინარე იალუსკენ საკმარისი ძალა გაგზავნონ და გადმოსვლას ხელი შეუშალონ. გენერალ კუროპატკინმა უნდა უცადოს იმ დროს, როდესაც გაიგებს იაპონელების განზრახვას. ეხლა კი ჯერ არ იცის, რა მხრიდგან გამოილაშქრებს მტერი. იაპონელები წინ მიდიან, მდინარეს გადავლენ და რუსის ჯარს მოიმწყვდევენ. ეს, რასაკვირველია, ეცოდინება გენერალ კუროპატკინს და, თუ არას აკეთებს, ეგ იმის ნიშანია, რომ შედარებით ცოტა ჯარი ჰყავს (რ. ვ.).

—

გაზეთ «მატენის» პეტერბურგელი კორესპონდენტი იწერება, ვითომც ადმირალ ვირენიუსს ებაასა, და ადმირალმა იმედი წარმოსთქვა, ივლისს კვალად უნდა წავიდე შორეულ-აღმოსავლეთისკენო. კორესპონდენტს უკითხავს, რავდენ ხანს მოუნდებით მოგზაურობასო და პასუხად მიუღია: თუ რომ ესკადრაში მხოლოდ დიდი გემები იქმნება, მაშინ ორს თვეს მოვუნდებით და, თუ პატარა ნაღმოსნები გავიყოლეთ, მაშინ სამს თვესაც შევგვიანდებით, რადგან ხშირად დაგვჭირდება ნავთსადგურებში გაჩერება წვრილ გემების გასაშინჯად და შესასწორებლადო (რ. ვ.)

—

# ტფილისი

—

*** გუშინ დიდის ამბით დაკრძალეს ახლად გარდაცვალებულის სომეხთა მოღვაწის აბგ. არტ. იოანნისიანის გვამი. მიცვალებული დილის 11 საათზედ მოასვენეს ვანქის სობოროში. კუბოს მრავალი ხალხი მისდევდა და ამკობდა დიდ-ძალი გვირგვინები. ვანქის სობოროს გალავანში მოვიდნენ წარმომადგენელნი სხვადა-სხვა საზოგადოებისა, სასწავლებლებისა, გაზეთებისა და სხვ., ერთი სიტყვით, განურჩევლად ეროვნებისა, ყველას მოვალეობად ჩაეთვალა პატივისცემა განსვენებულისა. ვანქის სობოროში წირვის შემდეგ მიცვალებულს აუგეს ანდერძი და შემდეგ კი დაასაფლავეს ვანქისავე გალავანში.

*** თიანეთის მაზრის უფროსს განკარგულება მოუხდენია, რომ შოსეს გზებზედ მთელს მაზრაში არ გაატარონ არც ერთი ურემი, რომლის თვლის რკინის სისქე არ ექმნება სამ დუიმ ნახევარი; თუ ან ნაკლები სისქე აქვს თვლის რკინას, ან სულ ურკინო იქმნება, არ უნდა გაატარონ სოფლის მოხელეებმა.

*** ტფილისის საკომერციო ბანკის აქციონერთა კრებამ დაადგინა, რუსეთის სამხედრო საჭიროებისათვის 7,000 მანეთი გადასდოს.

*** პარასკევს, 23 აპრილს, დიდუბის მოედანზე ცხენების დოღი გაიმართება.

*** კვირას რკინის გზის სახელოსნო სისწავლებლის მოსწავლეებმა დაათვალიერეს ავჭალაში წყლის მილები.

*** ქალაქის გამგეობა მოკლე ხანში საჩივარს შეიტანს ბ-ნ ფედოტოვზე, რომელსაც ნავთლუღში ქალაქის მიწა მიუთვისებია. ქალაქის თავმა შეჰკრიბა მრავალნი ცნობანი, რომლიდანაც სჩანს, რომ მიწა ქალაქს ეკუთვნის.

*** ორშაბათს, 19 აპრილს, ქალაქის საბჭოს ხმოსნებმა ფეხზედ ადგომით პატივი სცეს აბ. არ. იოანნისიანის ხსენებას და დაადგინეს, მისი საფლავი გვირგვინით შეამკონ.

*** ოდესიდან ასეთი დეპეშა მივიღეთ: „გულითად მწუხარებას ვაცხადებთ ჩვენის ლიტერატურისა და მუსიკის მოღვაწის ლადო აღნიაშვილის გარდაცვალების გამო. ქართველი სტუდენტები“.

*** მკითხელთ უწყიან, რომ ქალაქის გამგეობამ გადასწყვიტა, ახალი საყასბოააგოს. დღეიდან ქალაქის გამგეობა მიიღებს სხვა და სხვა კაცთაგან გეგმებს საყასბოს შენობისას. გეგმების წარდგენის ვადა 20 მაისს თავდება.

*** გორის დედათა პროგიმნაზიაში მისაღები ეგზამენები 20 მაისს დაიწყება.

*** ხუთშაბათს, 22 აპრილს, დანიშნულია ქალაქის საბჭოს ხმოსანთა კრება.

*** ტფილისში ჩამოვიდა ინჟენერი ა. რობი, რომელმაც ითავა მამა-დავითის მთაზე ფინიკულერის აყვანა.

*** რამდენიმე ათასი მანეთი დარჩენია ტფილისის სახელოსნო სასწავლებელს იმ სამუშაოდგან, რომელიც ათის წლის განმავლობაში გაუკეთებიათ მოსწავლეთ. ეს ფული უნდა განაწილებულიყო მოსწავლეთა შორის, მაგრამ რადგანაც ბევრი მათგანი სასწავლებელში აღარ არის და არც იციან, სად იმყოფება, ამიტომ ქალაქის გამგეობამ დაადგინა, ეს ფული სახელოსნოს საჭიროებას მოახმაროს.

*** რედაქციამ მიიღო ახალი წიგნი «ათას ერთი ღამე» შაჰრაზადას თქმული ამბავი და მოთხრობა, თარგმნილი ა. ნიკიტინისა. წიგნი პირველი. წიგნი სუფთად და კოხტად არის გამოცემული და ღირს 20 კაპ. იმედი უნდა ვიქონიოთ, ხალხში მრავლად გავრცელდება, რადგან კარგის შინაარსისაა.

*** რედაქციამ მიიღო მეორე ახალი წიგნიც: რამდონს მილიონს მანათს ჰკარგავს მარტო იმერეთი, ყოველ წლობით, რომ სახალხო სწავლა-განათლება და მეურნეობა-მრეწველობა დროს შესაფერად არა აქვს მოწყობილი?“ ტ. ართმელაძისა. წიგნი ორი შაური ღირს.

*** 16 აპრილს ალექსანდრე კურბანოვის ოთახიდგან ვიღაცას ორი პალტო მოუპარავს, ღირებული 60 მანეთად. ქურდი ჯერაც ვერ აღმოუჩენიათ.

*** 15 აპრილს გოლოვინსკი პროსპექტზე, სამხედრო სობოროს მახლობლად, ევგენი ჟადვოინას ჯიბიდან 44 მანეთი ამოაცალა ნიკ. კორსიანუსმა და გაიქცა, მაგრამ პოლიციელებმა მაშინვე დაიჭირეს. ფული პატრონს დაუბრუნეს.

*** მიხეილის ქუჩაზედ, ცხენის რკინის გზის ვაგონზე, ჯიბგირებმა ფული ამოაცალეს გორიდამ ჩამოსულ იაკობ კოპანაშვილს და გაქცევას აპირებდნენ, რომ ამ დროს შეპყრობილ იქმნენ პოლიციელთაგან.

*** ეტყობა, ჩვენის ქალაქის მამები ერთობ მოიდალნენ, რომ ნიშნავენ სხვა-და-სხვა კომისიების სხდომებს, მაგრამ კი არ ესწრებიან. წარსულ კვირას ბევრი სხდომები გადიდო წევრთა გამოუცხადებლობისა გამო და არ ვიცით, ამ კვირაში რა იქნება.

—

## ქუთაისის საურთიერთო ნდობის საზოგადოების წლიური კრება.

—

14-ს აპრილს შესდგა კრება ქუთაისის საურთიერთო საზოგადოების წევრთა. კრებას დაესწრო სამასამდის წევრი და თავმჯდომარედ დაასახელეს ქუთაისის მაზრის წინამძღოლი თ-დი დ. ო. ნიჟარაძე. კრებას მოხსენდა გამგეობის და საბჭოს მოხსენება შესახებ წლის ანგარიშისა და საბჭოს რევიზიის კომისიის მოხსენება და განმარტება ანუ, უკეთ რომ ვსთქვათ, პასუხი რევიზიის შენიშვნებისა. შემდეგ საზოგადოების რამდენიმე წევრი შეეკითხა გამგეობას ანგარიშის ზოგიერთ მუხლის შესახებ. გამგეომამ და ბუხგალტერმა განუმარტა საზოგადოებას იგი მუხლნი. ანგარიში წარსულის წლისა და მოგების განაწილება დამტკიცდა ერთხმად.

კრებას მოხსენდა ხარჯთ აღრიცხვა მომავალის წლისა და დაუნიშნეს ჯამაგირად გამგეობის თავმჯდომარეს 3000 მან., დირექტორებს თითოს 2000 მან. და მოხელეთ 14.500 მან., იმდენივე, რამდენიც შარშან ეძლეოდათ.

შეეკითხა კრებას მოხსენება გამგეობისა, თუ როგორ დააჯილდოვონ ადმინისტრაციის და რკინის გზის მოხელენი, რომელთაც მონაწილეობა მიიღეს ავაზაკების დასაჭერად, შემდეგ ბანკის გაძარცვისა 1903 წ. 22 დეკემბერს. გამგეობამ წარუდგინა კრებას ხუთას-ხუთასი მანათი, მხოლოდ ბანკის საბჭოს აზრი იყო, რომ სამას-სამასი მან. გარდაეცეს ადმინისტრაციის და რკინის გზის უფროსებს დასარიგებლად თავიანთ სურვილისამებრ.

კრებამ გადასწყვიტა, ხუთასი მანათი გაეგზავნოს მოსკოვის გუბერნიის წინამძღოლს შორეულ-აღმოსავლეთში დაჭრილ და ავადმყოფთა მხედართათვის და ომში მოკლულ ქვრივთა და ობოლთათვის. კრებამ გასტანა ნაშუადღევის პირველს საათამდე და შეუდგენ არჩევნებს. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ საზოგადოებამ უნდა აირჩიოს გამგეობის თავმჯდომარე, საბჭოს სამი წევრი, რევიზიის კომისიის სამი წევრი და მათი კანდიდატებიო.

კრებამ დაასახელა თავმჯდომარის თანამდებობაზედ ისევ თ-დი პ. ა. თუმანიშვილი და მოითხოვა, რომ იგი არჩეული ყოფილიყო ერთხმად, უკენჭოდ. ამ წინადადებას წინაღუდგნენ ათი-თოთხმეტი კაცი, რომელთაც მოითხოვეს ყუთის დადგმა. თამჯდომარე შეეკითხა საზოგადოებას, ვისაც გსურთ ყუთის დადგმა, ხელი მაღლა აიღეთო, რადგან ყველანი ფეხზედ იდგნენ და ირეოდნენ. ხელი მაღლა აიღეს ისევ ათიოდე კაცმა. აქ საზოგადოებაში ვიღაცამ დაიყვირა, ბ-ნი კრინიცკი ორის ხელის აწევას ნუ ნებულობს, თუმცა მაღალი მოხელეა, მაგრამ მაინც ერთ კაცად ითვლებაო. თითონ კრინიცკისაც ეცინება ამ შენიშვნაზედ. შემდეგ თავმჯდომარემ გამოაცხადა თავმჯდომარედ თ-დი თუმანიშვილის არჩევა და კრება გადასდო მეორე დღისათვის, რადგანაც გვიან იყო. მეორე დღეს, 15-ს აპრილის, კრებას უფრო ნაკლები ხალხი დაესწრო, რადგანაც ბევრი დარწმუნებული იყო, რომ თავმჯდომარის არჩევნები გათავდა. კრების დაწყებისათანავე, ბ.ბ. ვ. ნ. კანდელაკმა (ქალაქის გამგეობის წევრია), ა. მ. კრინიცკიმ და რამდენმამე სხვამ და მათ შორის ჩვენმა ცნობილმა კალისტრატემ, რომელიც პირველ კრებას არ დასწრებია და რომელსაც ალბად უფრო თუმანიშვილის არჩევნები აინტერესებდა, ვიდრე ბანკის საქმეები, მოსთხოვეს თავმჯდომარეს, რომ თუმანიშვილისათვის ყუთი დაედგათ. თავმჯდომარემ მოახსენა კრებას, რომ ეს საგანი უკვე გუშინ გადასწყდაო, მაგრამ მაინც არ დაიშალეს და ძრიელ მედგრად იცავდნენ თვის წინადადებას ბ-ნი კალისტრატე და კომპანია. მაშინ თუმანიშვილმა სთხოვა თავმჯდომარეს, რომ ყუთი დაედგა და მოახსენა კრებას დაახლოვებით შემდეგი: მე გთხოვთ, რომ კენჭი მეყაროს და, თუ მე ნდობა დამიკარგნია საზოგადოების უმრავლესობისა, იმ შემთხვევაში აქ ჩემი დარჩენა მეტი იქნება და შეიძლება მავნებელიცაო. იგრიალა «ვაშა»-მ და ტაშის ცემამ. შემდეგ კენჭის ჩამოტარებისა, თუმანიშვილი იქმნა არჩეული ორის მესამედის უმეტესობით. თუმანიშვილმა საზოგადოებას მადლობა გადაუხადა ნდობის გამოცხადებისათვის. ყუთები დაუდგეს კიდევ საბჭოსა და სარევიზიო კომისიის წევრად ასარჩევთ. კანდიდატებად დაასახელეს —საბჭოს წევრად: ბ.ბ. ვ ი. ჭილაძე, ი. გ. ანჯაფარიძე (ნოტარიუსი), ა. მ. კრინიცკი, კ. რ. გოცირიძე, ს. ი. ჰეიშვილი და რ. ე. რიჟინაშვილი. არჩეულ იქმნენ ბ.ბ. ანჯაფარიძე, გოცირიძე და რიჟინაშვილი. ბ-ნ ჭილაძეს მოუვიდა შავზედ მეტი თეთრი ერთი კენჭი ხოლო ბ.ბ. კრინიცკი და ჰეიშვილი არ იქმნენ არჩეულნი დიდის უმეტესობით.

რევიზიის კომისიის წევრებად აირჩიეს: ს. კ. მაჭავარიანი, ი. ნიჟარაძე, ი. გ. ჩიმაკაძე, ხოლო მათ კანდიდატებათ: ზ. ი. ჰეიშვილი, დ. ბ. მდივანი და დ. ს. ღულაძე.

ქ. მ—ე.

—

## კახელ მევენახეთა საზოგადო კრება

(დასასრული)

თავადი ს. აბაშიძე. ჩვენი ღვინის ბაზარი არ არის გადიდებული. არ იქნა, ვერ გაამრავლეს მუშტარი! ეს იმის ბრალია, რომ განყოფილებათა გამგებლები არ ვარგანან. აი პეტერბურგში დანიშნეს კაცი, ეტყობა საქმიანობა. იმედია, კარგა წაიყვანს საქმეს. ბაზრის გასაფართოვებლად ღვინის ფასის დაკლებას კი არ უნდა ვსცდილობდეთ, მწარმოებელისა და გამგეობის ყურადღება იქით უნდა იყოს მიქცეული, რომ ღვინო ღირსებით ავამაღლოთ.

ამ საკითხზედ გამგეობის წევრნი სხვადა-სხვა აზრისანი ყოფილან, ზოგი ფასის დაკლების მომხრეა, ზოგი ღვინის ღირსების ამაღლებისა. კრებაც ორ ნაწილად გაიყო, ზოგი და მომეტებული ხმა ფასის დაკლებას მიემხრო, ზოგი კი თხოულობდა, ფასი ისევ ის დარჩეს, ხოლო ყველა № ღვინის ღირსება ავამაღლოთო. რადგანაც ეს საკითხი არ იყო შეტანილი საკითხთა სიაში, იმისთვის კენჭი არ უყრიათ.

თავმჯდომარე კრებისა. გთხოვთ დაასახელოთ კანდიდატები გამგეობის თავმჯდომარის თავ. სიმონ რევაზის ძე ვახვახოვის, რომელსაც ვადა გაუთავდა, ადგილზედ. თვით ს. რ. ვახვახოვიც იყრის კენჭსა.

კრება აცხადებს, რომ უკენჭოთ ვირჩევთ თავ. ს. რ. ვახვახოვსაო. თავმჯდომარე უხსნის, რომ წესდებით ეგ არ შეიძლებაო.

თავმჯდომარე თხოულობს დაასახელონ სარევიზიო კომისიის ორი წევრის კანდიდატები. ასახელებენ: თავ. ალ. სოლ. ლეონიძეს და ბ-ნ იოს. პ. მგალობლიშვილს, აგრეთვე ასახელებენ მიმღები კომისიის წევრთა კანდიდატებად: თავ. მიხეილ თამაზისძეს რუსიევს. ბატონს მგალობლიშვილს, თავ. ნ. აბაშიძეს, თავ. ი. ჯორჯაძეს, თავ. მ. ჩოლოყაშვილის, თავ. ნ. ვაჩნაძეს. საურთიერთო დამხმარებელი ფონდის დამაარსებელ კომისიის წევრების კანდიდატებად დასახელებულნი იყვნენ: თავ. ლევან გ. ჯანდიერი, თავ. იოსებ ად. ქობულოვი, თავ. მიხეილ რევაზისძე ვაჩნაძე, თავ. ნ. ვაჩნაძე, თავ. ალ. რევ. ვახვახოვი. თავ. მ. ჩოლოყაშვილი.

რადგანაც კრების ერთმა ნაწილმა მოითხოვა დახურული კენჭის ყრა, თავმჯდომარემ განაცხადა, თავ. ლ. გ. ჯანდიერს, რადგანაც არ არის აქა, კენჭს ვერ უყრითო. დანარჩენთაგან არ იყვნენ კიდევ ძმანი მგალობლიშვილნი, მაგრამ მათი სურვილი ცნობილი იყო. დამსწრეთაგან უარი განაცხადეს: თავ. ალ. ვახვახოვმა, თავ. ი. ქობულოვმა, თავ. მ. ჩოლოყაშვილმა, თავ. ი. ჯორჯაძემ.

გამგეობის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა თავ. სიმონ რევაზისძე ვახვახოვი 47 ხმით; სარევიზიო კომისიის წევრად: თავ. ალ. სოლ. ლეონიძე 30 ხმის უმეტესობით წინ. 17 ხმ. ბ-ნ ი პ. მგალობელოვი 28 ხმ უმ. წინ. 19 ხმ. მიმღები კომისიის წევრებად: თავ. მ. თ. რუსიევი, ბ ი. პ. მგალობლიშვილი, თავ. ნიკოლოზ ვაჩნაძე. საფონდო კომისიის წევრებად არჩეულთა უარი განაცხადეს.

თავმჯდომარე კრებისა. სიმონ რევაზისძევ, მოგილოცამ საზოგადოების ნდობას. მოხარული ვარ ისევ თქვენს ადგილს გხედავთ არჩეულს. მოგილოცამ მთელი საზოგადოების სახელით. მთელივე საზოგადოების სახელით გთხოვთ უმორჩილესად, აგრეთვე ვსთხოვ თქვენს ამხანაგებს თავ. ბარათოვს და ბ. რცხილაძეს, რომ საზოგადოების საქმეთა მართვა-გამგებლობაში მოერიდნეთ ყოველსავე, რაც კი თვით საქმეს ავნებს, ან რომელსამე დაბრკოლებას დაჰბადებს. ამ ექვსი დღის განმავლობაში მრავალი სურათი დაიხატა თქვენ თვალ წინ, სიმონ რევაზის ძევ, დარწმუნებული ვართ, ყველა ესენი ღრმად დაჩნდება თქვენს გულს და ერთხელ და სამუდამოდ მტკიცე, უცვალებელი გზით გაუძღვებით საზოგადოების საქმეს.

თავ. სიმონ რევაზის ძე ვახვახოვი. ბატონებო, დიდად მადლობელი ვარ, რომ კვალად ნდობა გამომიცხადეთ და ამირჩიეთ, მადლობელი ვარ, რომ გულწრფელად შენიშვნებს იძლეოდით, მადლობელი ვარ, რომ გამოარკვიეთ, როგორი უნდა იყოს წევრთა და გამგეობის ურთიერთი დამოკიდებულება, სად იწყება და სად უნდა იყოს გათავებული იგი. ხოლო უმორჩილესად ვსთხოვ ყველა წევრს საზოგადოებისას არ დაივიწყოს კრებისაგან გამორკვეული დამოკიდებულების ვითარება და ჩვენთან მიწერ-მოწერის დროს მუდამ გახსოვდესთ, თუ ჩვენ დაგვავიწყდეს, მოგვაგონეთ და თუ თქვენ დაივიწყებთ ჩვენ მოგაგონებთ.

ნადაკვრელი.

—

# ჩვენებური ამბები

—

სოფ. კახიანური. (ქუთაისის მაზრა) აქაური მკვიდრი, განურჩევლად შეძლებისა, ერთი თვის წინად ემზადება ბრწყინვალე ქრისტეს აღდგომისათვის და ახალ წლისთვის. საუკეთესო «სტოლს» გამართამს, რომ იმით ისახელოს თავი მომლოცველთა წინაშე. აქ სულ უკანასკნელ ღარიბს სააღდგომო «სტოლი» უჯდება 13 მანეთამდე, ხოლო საახალწლო 10 მანეთამდე. აი რაში რას აძლევს ის, თუნდ საახალწლო «სტოლის» გამოწყობისათვის: გოჭი 1 მ. 40 კ., ბატკანი 1 მ. 60 კ., ორიოდე ქათამი 1 მ. ფუთ ნახევრამდე ღვინო 3 მ., ორ ბოთლამდე არაყი 1 მ. 20 კ. ამდენი დაუჯდება, როდესაც სანოვაგე იაფია. ამას გარდა ყიდულობს კანფეტს და საჭმელების მასალას. თვითონ მკვიდრს კი თავის ოჯახით ათი მანეთის სანოვაგე ორივე ბედნიერ დღეებს ეყოფა. კარგი იქნება, რომ ამ გარემოებას მიაქციოს ხალხმა ყურადღება.

აღდგომის პირველ დღეს, საღამოს ცხრა საათზედ, სასიკვდილოთ დაამტვრია რემონტის მუშა გიორგი იობიძე რიონიდგან ქუთაისში მიმავალმა სახალხო მატარებელმა. საწყალი იმ ღამესვე გაგზავნეს ქუთაისის სამხედრო საავადმყოფოში, სადაც მეორე დღესვე გარდაიცვალა.

ბაცია.

—

ს. ხევი. ჩვენი ხევი შეადგენს ექვსს სამრევლოს და ორ სამამასახლისოს (ქვემო ხევისა და ზემო ხევისას). მცხოვრებთა უმეტესობა მოხევენია, მცირე ნაწილი-კი ხევსურნი და ოსნი. ადგილის სიმცირისა და ცივი ჰავის გამო აქეთ ქერის მეტი არა მოჰყავთ-რა, ისეც ისე მცირეა, რომ ორ თვეს ვერა ჰყოფნით საზრდოთ, წლის დანარჩენ დროს კი ნაყიდ სიმინდს ეზიდებიან კავკავიდგან. წინეთ, როდესაც საქართველოს სამხედრო გზაზედ დიდ ძალი მოგზაური მოძრაობდა, მთიელთაც ცოტა შემოსავალი ჰქონდათ დღიურად გზაზედ მუშაობით, ეხლა ესეც გამოეცალათ ხელიდგან. ამ გზის გაუქმება გვე-

ყურება, და, თქვენი მტერი, ჩვენ საქმე მოგვივა. ბარემ გვინდა შინაური საქონელი მაინც მოვაშენოთ, მაგრამ, სამწუხაროდ, ადგილის სიმცირე და თივის მოუსავლობა არ გვიწყობს ხელს. მართალია ვიჩენთ ცხვარს, იმასაც ზამთრობით გამოსაკვებავად თერგის ოლქისკენ მივერეკებით.

მოხევები ცხვრის რძისას აკეთებენ ყველს და ერბოს, ამასაც თვითონვე შინ შეექცევიან და რაღაცა გამოურკვეველი მიზეზისა გამო ნაწარმოების გაყიდვა სირცხვილად მიაჩნიათ. მატყლისას დედაკაცები აკეთებენ კაცებისთვის ტანზე ჩასაცმელ საჩოხე შალს და თვით დედაკაცები თავიანთივე გაკეთებულ შალების ნაფასურით იცვამენ და იხურამენ. ხევში ცხვრის მატყლი ყოველ წლობით რამდენიმე ათასი ფუთი გროვდება. ვერ მოგვიხერხებია, რაიმე ამხანაგობა დავაარსოთ, რომ თვით ჩვენივე ნაწარმოებით სხვაც გვესარგებლებინა და თვით ჩვენი თავიც, მაგრამ ამას ვერ ვახერხებთ და ისევ ჩარჩ ვაჭრებსა რჩებათ.

ოსები კაი ყველს აკეთებენ, რომელსაც რუსულად «Трусовскій сыръ»-ს ეძახიან და კაი ფასადაც ჰყიდიან კავკავში. მოხევენი და ხევსურნი უფრო გულადნი, პირდაპირნი და ნიჭიერნი არიან, მინამ ოსები. უკანასკნელთ ცოტა გაიძვერაობაც ეტყობათ. სწავლა-განათლებას მოხევენი გულკეთილად ეკიდებიან: რამდენისამე წლის წინეთ თუ რომ ერთი სკოლა იყო ხევში, ახლა ექვსი საეკკლესიო-სამრევლო სკოლა დაარსეს, ამათში ორი ორ კლასიანებია (ს. სტეფანწმინდისა და ს. სნოსი). გვისაყვედურებენ, ორ კლასიანი სკოლებიც კი დაგიარსეთო და მეტი რაღა გინდათო. მადლობის მეტი რა გვეთქმის, მაგრამ ესეც უნდა იცოდეთ, რომ ცარიელ კედლების შეძენას რა მნიშვნელობა აქვს, თუ რომ შეგირდებს მასწავლებელი არ ეყოლებათ. სამოსწავლო წელი თითქმის თავდება და ერთი მასწავლებლის მეტი კი არა ჰყავს ორ კლასიან სტეფანწმინდის სკოლას. მართალია სკოლები გამრავლდა, მაგრამ მასთან ერთად ისიც ნუ დაგვავიწყდებათ, რომ ტყავი ერთი ორად გავიძერით აუტანელის ხარჯითა, ამას ვინ იჩივლებდა, სწავლის საქმე რომ მაინც კარგად იყოს დაყენებული.

ნეტავი თქვენი სიცოცხლით აქაური წარჩინებულნი პირნი, სამსახურში მყოფნი, რომელნიც ზაფხულობით გვეწვევიან ხოლმე სუფთა ჰაერის სასუნთქებლად, მაინც გდებულობდნენ ყურს ხევსა.

ნუ თუ ერთ-ორს მათგანს არ შეუძლია, მოსჭიდოს სკოლის საქმეს ხელი, ან მზრუნველობა იკისროს, და მით აიცილონ უვიც გლეხებს მზრუნველობის მძიმე ტვირთი. სამწუხარო კიდევ ეს არის, რომ რაღაც მიზეზისაგამო კარგი მასწავლებლები არა გვრჩებიან და სხვაგან გაგადადიან. მოხევენი სულით და გულით მზათა ვართ, შეძლებისა დაგვარად, ყველანაირი შემწეობა აღმოუჩინოთ სკოლას, ოღონდ ჩვენი ბავშვების სწავლა-განათლების საქმემ წაიწიოს წინ.

სტეფანელი.

—

**დაბა ოჩემჩირი.** (აფხაზეთი). დაბა ოჩემჩირეში ნამეტნავად გახშირდა მკვლელობა. მოჰკლეს თ. გაბუნია. არ გასულა დიდი ხანი, კიდევ ოც მარტს ღამით მოჰკლეს ესტატე კოკვაძე.

აი როგორ მოხდა ეს სამწუხარო ამბავი: განსვენებული ე. კ—ძე არის ილორელი, სადაც მსახურებდა მედავითნეთ. 20 მარტს წასულა ოჩემჩირეში, სადაც საქმე ჰქონია კეთილ-მოწესე დ. მარღანიასთან. საქმე გაუთავებია, წასულა ბაზარში და უვახშმნია; ვახშმის საჭმელად თერთმეტ საათამდე დარჩენილა. შემდეგ კი გასდგომია გზას სახლში დასაბრუნებლად. მისულა საწყალი მდინარე ღალიძგის ნაპირას, რომელიც საზღვრავს დ. ოჩამჩირს და ს. ილორს, აქ ვიღაც ბოროტ-გამზრახველს უსროლია სამი ტყვია და ერთიც არ დასცდენია.

ბოროტ-გამძრახველი ვინაა, ჯერ არ სჩანს, თუმცა ჰორად ბევრზეა ლაპარაკი.

ოჩამჩირეში, სულ 12 წელიწადია, რაც არსებობს ორ-კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი და ამდენ ხანს არ დასდგომია ასეთი გაჭირვება, რაც ამ წელიწადში. გაუჩნდა მოსწავლეებს ყელ-ჭირვება და, ექიმ ბ. პლიაპისის შემოწმებით, იქმნენ დათხოვილი თებერვლის განმავლობაში; დადგა მარტი, შეგროვდნენ მოსწავლეები, მაგრამ სწავლა მაინც ვერ დაიწყეს, იმიტომ რომ კლასის აივანი გასაკეთებელი აღმოჩნდა. სკოლის მზრუნველმა მოახსენა საზოგადოებას, სკოლის აივანს გაკეთება უნდაო. პასუხად მიიღო, სანამდის ნათხოვნი სამოქალაქო სასწავლებელი არ გაიხსნება, არაფერს არ გავაკეთებთ. ასეა თუ ისე, მეცადინეობა კაი ხანია შეწყვეტილია. მოსწავლეები გულდაწყვეტილნი დადიან, ხედავენ, რომ უსწავლელობისა გამო იღუპებიან. ძლიერ საჭიროა მიექცეს ამ გარემოებას ყურადღება, თორემ თქვენი მტერია, მართლაც დაიღუპებიან მოსწავლეები.

დ. გობეჩია.

## უცხოეთი

**ავსტრიაუნგრეთი.** უნგრეთის მინისტრ-პრეზიდენტს ტისას ასეთი რესკრიპტი მოუვიდა: «უნგართა წარსულ ცხოვრებაში თავი ისახელა, როგორც გმირმა მეომარმა ფრანცმა რაკოცი მეორემ და მისი ნეშტი კი სამშობლო ქვეყანაში არ განისვენებს. გადმოსვენება მისის ფერფლისა საერთო სურვილია ერისა. ღვთის განგებით, ჩვენთა წინაპართა დავა და უსიამოვნება, რაკი მას უკან დიდი ხანი გავიდა, მარტო ოდენ ისტორიულ მოგონებად გადაიქცა. ნდობა და სიყვარული მეფესა და ერს შორის, აგრედვე მშვიდობიანი მართვა ქვეყნისა განახლებულის კონსტიტუციის შემოღების შემდეგ შეიქმნა ისეთის ჰარმონიის საფუძვლად, რომელიც უპირველესი საქმეა ნაყოფიერის საერთო მოღვაწეობისათვის. ამიტომ ადვილად შეგვიძლიან ახლა ისე გავიხსენოთ წარსული, რომ გულმა ტკივილი აღარ დაგვიწყოს და ნაღველასავით მწარე გრძნობა არ გამოიწვიოს. ახლა დამშვიდებით შეგვიძლიან გავიხსენოთ ისინი, ვისაც დიდი ღვაწლი მიუძღვის წარსულს ბრძოლაში. ამიტომ მოგვინდვია თქვენთვის იზრუნოთ, რომ ნეშტი ფ. რაკოცცისა გადმოსვენებულ იქმნას სამშობლოში".

ფრიად საგულისხმიერო რესკრიპტია და ცხადად მოასწავებს, რაოდენად ღრმად შეიცვალა დრო, რომ ფრანც რაკოცი, რომელსაც ოფიციალური ავსტრია ავაზაკსა და მეამბოხეს უწოდებდა ამ 200 წლის წინად, ახლა ღვაწლ-მოსილ გმირათ იხსენიება იმავე ავსტრიის გვირგვინოსანისაგან.

ეს 200 წლის წინად რაკოციმ სემიგრადიე დაიჭირა და გამოაცხადა დამოუკიდებლობა უნგრეთისა. შეუერთდა ოსმალთა და ეომებოდა ჰაბსბურგებს, იმპერატორ ფრანც იოსების წინაპართა. რაკოცის ნეშტი დაკრძალულია სტამბოლს ახლოს ქ. როდოსტოს. მერმის უნგარნი აპირობენ იდღესასწაულონ 170 წ. თავი მისის გარდაცვალების დღიდან. ამ ბოლოს დროს საპარლამენტო ოპოზიციის მომხრენი არა ერთხელ აღიმაღლებდნენ ხოლმე ხმას და თხოულობდნენ რაკოცის ნეშტის გადმოსვენებას სამშობლო მიწა-წყალში დასაკრძალავად. სამინისტრონი დიდს გაჭირვებაში ჩავარდებოდნენ ხოლმე, რადგან ამისთანა მოთხოვნილება დემონსტრაცია იყო უნიისა და თვით იმპერატორის საწინააღმდეგოდ. ახლა-კი თვით იმპერატორი აძლევს. ბანს მაღიართა სურვილს, იქნება გულით არა, მაგრამ მაინც ბანს აძლევს. მაგრამ ეს პირველი ამბავი არ არის. 1898 წელს მოითხოვეს, დაღუპეთ ძეგლი ნემეც გენერალის გენტცისაო, იმ გენტცისა, რომელმაც სისხლი დააქცია იმპერატორ ფრანც-იოსებისათვის 1848—1849 წწ. აჯანყების დროს. ეგ ადგილი კოშუტის ძეგლისთვის გვინდაო. მხცოვანი იმპერატორი, ალბად, იმიტომ ითმენს ყოველსავე ამას, რომ აღარ უნდა გაიმწაროს უკანასკნელნი დღენი ან უნგართა აჯანყებით, ან უნგრეთისა და ავსტრიის განცალკევებით. ავსტრია-უნგრეთის მორიგებას ვადა გაუვიდა და ხელმეორედ მის განახლებასა და დამტკიცებას აღარა ეშველა-რა. ვინ იცის, იქნება უნგრეთმა თავისკენ გაიწიოს და სულ ცალკე ცხოვრება მოინდომოს. ეს აწუხებს იმპერატორს ფრანც-იოსებს და, ვიდრე ცოცხალია, არ უნდა ამისთანა ამბავს მოესწროს. იქნება ზემორე მოყვანილი რესკრიპტიც იმისი ბრალია, რომ იმპერატორს უნდა გული მოიგოს უნგრელებისა.

## წერილი
### რედაქციის მიმართ

I

უმორჩილესად გთხოვთ, ნება მომცეთ, თქვენი პატივცემული გაზეთის შემწეობით გულითადი მადლობა გამოვუცხადო, როგორც ჩემის მხრით, ეგრეთვე ჩემდამო რწმუნებული მრევლის მაგიერ, შემდეგ პირებს, რომელთაც შემოსწირეს რწმუნებულ ჩემდამო ხრეითის წმიდის გიორგის ეკკლესიას შემდეგი ნივთები: 1, დაბა აბასთუმანში დროებით მცხოვრებმა თავადმა სოლომონ ალექსის ძე ჯაფარიძემ კანკელი, ღირებული 50 მან. 2, სოფელს შუქრუთში მცხოვრებმა შიო ჩაჩანიძის მეუღლემ მარადან ჩაჩანიძემ ერთი ხელი სადღესასწაულო შესამოსელი, ღირებული 40 მან. 3, სოფელს ხრეითში მცხოვრებმა ფილიპე და სარდიონ ზაქარიას ძე სოფრომაძეებმა შკაფი, ღირებული 10 მან.

მღვდელი პ. მახედაძე.

II

ახალციხის საქველმოქმედო საზოგადოებამ გამართა 27 იანვარს 1904 წ. რუსულ-ქართული წარმოდგენა სამოქალაქო კლუბის დარბაზში. შემოსავალი იყო 156 მან. 5 კაპ., სახელდობრ ბილეთებისა--144 მან. 40 კაპ., 9 პრემია 11 მან. 65 კაპ. დაიხარჯა 56 მან. 5 კაპ. წმიდა შემოსავალი დარჩა საზოგადოებას 100 მან.

საზოგადოება უღრმეს მადლობას სწირავს არტისტებს: კ. ვ. გეევსკისას, ა. მ. ლუპოლოვისას, ე. მ. ბრილკინას, ნ. პ. კაბულაძისას; ნ. მ. ლაზარაშვილისას და ბარბარე სავანელს, პ. პ. ტომაშევიჩს, რ. დ. დავიდოვს, ვ. ი. პრონინს, ვერინს, ლ. მიხეილიძეს, ზ. საყვარელიძეს, ს. ბასიშვილს და ტ. მაისურაძეს და ყველა იმათ, ვინც თვისის შრომით ხელი შეუწყო წარმოდგენის გამართვას.

## დეპეშა
(რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან).

19 აპრილი.

**პეტერბურგი.** ხელმწიფე იმპერატრიცა მარიამ თეოდორეს ასული და ხელმწიფე მემკვიდრე საცხოვრებლად გატჩინოს წაბძანდნენ.

**მუკდენი.** მოსული ცნობებიდან სჩანს, 16 აპრილს ათ ვერსზე სადგურ რინდზიატუნიდან ასს საზღვრის დარაჯს შეტაკება ჰქონდათ ხუნხუზებთან. ჩვენ ერთი ჯარის-კაცი მოგვიკლეს, დაიჭრა პორუჩიკი კორაბლევი და ორი ჯარის-კაცი. ხუნხუზებს რამდენი დააკლდათ სიბნელის გამო ვერ შევიტყეთ.

**რიგა.** «ვარიაგის» გმირებს გზა-გზა რიგისაკენ ხალხი უხვდებოდა. რიგის ქუჩები მთლად აივსო ხალხითა, რომელიც ალტაცებით უხვდებოდა იმათ; ზოგნი ხელში აყვანილნი მიჰყავდათ. ქალაქმა ბაღში ვახშამი გაუკეთა; მერე ლიბავას წავიდნენ.

**ტოკიო.** გემ „მაია"-ს კაპიტანი იუწყება: რაზმი, შემდგარ გემ «მაია»-სა და «უჩჟი»-სა და ნაღმოსნებისაგან, 18 აპრილს იალუზე მტერს ყუმბარებს ესროდნენ. დაბრუნებისას ნაღმოსნებს მტრის არტილერიის ზარბაზნებმა ძლიერი სროლა აუტეხეს; ნახევარ საათს ძლიერის სროლის შემდეგ მტრის ზარბაზნები ჩაჩუმდნენ შემდეგ რაზმი უვნებლად დაბრუნდა იონამპოს. ჩვენი შეიარაღებული ბარკასები დილით ანდუნამდე მივიდნენ და ნახევარ საათის ცხარე ბრძოლის შემდეგ იძულებულ ჰყვეს, მტრის ქვეით ჯარსა არტილერიას უკან დაეხია. სჩანდა, რომ ქალაქში ცეცხლი გაჩნდა. ერთმა იქაურმა გვიამბო, რომ მტერმა ანდუანს თავი გაანება და ქალაქს ცეცხლი მოუკიდაო».

**პოტსდამი.** დილით მოვიდნენ იმპერატორი და იმპერატრიცა.

**ვენა.** ფრანც-იოსები ბუდაპეშტს წავიდა.

**ტოკიო.** გენერალი კუროკი იალუზე ჯარის გადასვლის შესახებ ოფიციალურად იწერება: «რომ უზრუნველ ყოფილიყო ხიდების გაკეთება ჯარის გადასაყვანად, გვარდიას და მეორე დივიზიის ჯარების ნაწილი თავს დაესხა მტერს, 13 აპრილსა, რომელიც იალუს პატარ-პატარა კუნძულებზედ იდგა, გამოდევნა ისინი და თვით დაიჭირა კუნძულები. მსუბუქად დაიჭრა 9 და მძიმედ დაიჭრა 16 გვარდიელი; მეორე დივიზიას კი არა დაჰკლებია რა. რუსის მზვერავ რაზმის უფროსი პარუჩიკი ზენიდოვი მოკლული ვიპოვეთ და იჩჟუში დავასაფლავეთ.

**იჩჟუ.** 11 აპრილს შუადღის შემდეგ მტერი ხანდისხან ესროდა ი-ჩჟუსა. 13 აპრილს ორი საკანონერო ნავი და ორი გემი იალუს ზემოდ შეჰყვნენ, მტერს სროლა დაუწყეს და ჩააჩუმეს. რაზს ზიანი არ მოსვლია. 15 აპრილს ორმა როტამ ადგილები დასინჯეს ხუშანისაკენ. მტერმა უკან დაიწია და დასტოვა 5 მკვდარი. რუსები შორიდან ისროდნენ და ამიტომ საწადელს ვერ მიახწიეს. კულენჩენთან მზადებას შევუდექით. 16 აპრილს 12 დივიზიამ ხიდების გადება დაიწყო მდინარეზე. ათს საათსა და 40 წუთიდან 1 საათსა და 20 წუთამდე შუადღის უკან ყოველი მხრიდან საშინელი სროლა ასტყდა, მაგრამ მტერი მალე ჩავაჩუმეთ. ჩვენი ზარალი: მსუბუქად დაიჭრა 5 აფიცერი, ჯარის-კაცთაგან 2 მოკლულ იქმნა და 22 დაიჭრა. იმავე დღეს საღამოს 8 საათზე მდინარის უმთავრეს ტოტზე გამზადებული იყო ხიდი და ლაშქარი გადავიდა და გაემართა კუშუნს. ერთი ნაწილი ადმირალ გესსიას ესკადრისა შეჰყვა ზემოდ მდინარესა და ანდუნსიანიას ქვემოდ შეებრძოლა ახლო მანძილზე 400 ქვეითა ჯარსა. ამათაც მტრის ზარბაზნების ცეცხლში გამოიარეს. მაგრამ ერთი საათის შემდეგ მტერმა მაინც დაიწია. გათენებისას 18 აპრილს კვლავ დაუწყეთ სროლა (?) და ჩავაჩუმეთ. რვის ნახევარზე ყველა დივიზიებმა იერიში მიიტანეს და კულენჩენის სიმაღლეები დაიჭირეს.

**ბერლინი** სავაჭრო ხელ-შეკრულობის შესახებ რუსეთთან იუწყებიან, საქმეთა მდგომარეობა უცვლელად არისო.

**ტოკიო** („ვოლფის სააგ."). ოფიციალურად. ესკადრა ადმირალ კამიმურას უფროსობით 15 აპრილს გენზანს მივიდა. ვერ დაუშინა ვლადივოსტოკს ყუმბარები, თუმცა უნდოდა, რადგან ამ დროს ნისლი იდგა. როდესაც გაიგეს, რომ „კინშიომარუს" თავს დაესხნენ, ესკადრა კვლავ გავიდა ნავთ-სადგურიდან და მიადგა ვლადივოსტოკს, მაგრამ ნისლმა კვლავ შეაყენა და ისევ გენზანს დაბრუნდა.

**პორტ-არტური.** 19 აპრილი. გადარჩენილ მიჩმან იაკოვლევის ლაპარაკით, დიდი მთავარი კირილე ვლადიმირისძე გადაურჩენია „გაიდამაკის" ველბოტს და გადაუცია ნაღმოსან გემისათვის.—პორტ-არტურის მიდამოებში მშვიდობიანობაა.

20 აპრილი.

**ბერლინი.** საბერძნეთის მთავრობა ითხოვს, სმირნაში მომხდარ ინციდენტების გამო გადააყენონ პოლიციის პრეფექტი და დასაჯონ ჯარის კაცნი.

**ვლადივოსტოკი.** (საკუთ. კორესპ.). 16 აპრილს 10 გემი და ექვსი ნაღმოსანი ცის იერზე გამოჩნდნენ, ჯერ უსურიის ყურეში, შუადღის უკან კი გაჩერდა რუსის კუნძულის სამხრეთით, კუნძულ შკოტას ახლო. რუსეთის კუნძულზე ზარბაზნის ხმა ისმოდა, მაგრამ დიდხანს კიარა სატქმელი არა იყორა. მტერი საღამოზე მიიმალა.

**ტიანძინი.** („რეიტერის სააგენტო"). რუსის ინჟინრები ჩინელ მუშათა შემწეობით სიმაგრეებს აკეთებენ ლიაოშესთან.—რკინის გზას იცავს 180 კაცი.

**ტოკიო.** («რეიტერის სააგენტო»). როდესაც 18 აპრილს დაიჭირეს მტრის რამდენიმე სიმაგრენი კულონჩენის და იოშკოს შორის, იალუს მარჯვენა ნაპირას, რუსებმა მეორედ გაგვიწიეს წინააღმდეგობა კულენჩენისაკენ; იაპონელნი იერიში მიიტანეს სამ მხრივ და დაიჭირეს ადგილი ანდუანსა და ლუშუკარის შორის; იაპონიის ესკადრა სამ კუთხივ შემოერტყა და საღამოს 8 საათზე გასაოცარის ბძოლის შემდეგ რუსის პოზიცია დაიჭირა. რუსებმა ფინხუანჩენისკენ დაიწია.—კონტრ ადმირალი კომიმურა იტყობინება: «ნისლმა დამიფარა განსაცდელისაგან». ამის შემდეგ მოვიდა მოხსენება, სადაც სწერია: «თვალთა წინა არა სჩანდარა, ამიტომ მეორედ გადავსდე ვლადივოსტოკზე თავდასხმა და ამით რუსეთის ფლოტს მივეცი ღონე მეორედ თავის დაღწევისა» როდესაც იაპონიის ესკადრა ჩრდილოეთისკენ წავიდა, იმან რუსეთის ესკადრასთან ძალიან ახლო გაიარა, ის გენზაში მიდიოდა. ესკადრებმა ერთმანერთი ვერ შეამჩნიეს. როდესაც იაპონიის ფლოტმა კვლავ სამხრეთისაკენ იბრუნა პირი, იმან კიდევ რუსის ესკადრის წინ გაიარა, ის ვლადივოსტოკს მიდიოდა. როდესაც კამიმურამ გაიგო, რომ „კინშიომარუ» დაიღუპაო, ის კვლავ ჩრდილოეთისაკენ წავიდა, გზაზე იპოვა სამი ნავი. იაპონიის კრეისერებმა რამდენიმე რუსის ნაღმი იპოვეს ნაპირზე და ააფეთქეს. ბოლოს კამიმურა ამბობს, ნისლის გამო ვლადივოსტოკზე თავდასხმა შეუძლებელიაო.

**ლიბავა.** ორშაბათს ნაშუადღევს $4^1/_2$ საათზედ მოვიდნენ «ვარიაგის» მეზღვაურნი, რომელთაც მიეგება ვოგზალზედ გუბერნატორი, გენერალიტეტი, ქალაქის გამგეობა და სიმრავლე საზოგადოებისა. ყოველნი აღტაცებით შეეგებნენ გმირებსა მეზღვაურნი მუსიკით გაემართნენ ქალაქის ხიდისკენ. ქუჩებში გამწკრივებულნი არიან ჯარები და სასწავლებელთა შეგირდები. ქალაქის ხიდიდან გმირნი გემებში ჩასხდნენ და გაემართნენ პორტში, საცა მიეგებნენ მეზღვაურთა ოფიცრები კონტ ადმირალ ირეცკის მეთაურობით. ადმირალმა მიულოცა დაბრუნება და წყალობა მეფისა. წირვის შემდეგ სადილი იქმნა გამართული მდაბიო ჯარის კაცთათვის.

**სტრასბურგი.** ღამე აქაცა და გარშემო ადგილებშიც საკმაოდ ძლიერი მიწის ძვრა ეყო; ასევე მოჰხდა ზემო ელზასშიც.

**ბელგრადი.** მეფემ მიიღო კერძო აუდიენციაში გუბასტოვი.

**რომი.** ლუბეს რომში ყოფნის დროს ვატიკანმა ყველა ნუნცის ევროპაში ენერგიული ნოტა და პროტესტი გამოუცხადა იმ ახალ შეურაცყოფისათვის, რომელიც მიაყენეს კათოლიკეთი ეკკლესიის თავს.

**სოფია** (ოპოზიციის მომხრეთაგან). სტამბოლიდან იუწყებიან, რომ მაკედონიის ჟანდარმერიის მოწყობა საფინანსო მხრივ ამ დღეებში დასრულდებაო. ოსმალეთის მთავრობა პირობით შეეკვრება უცხოეთის აფიცრებსაო.

ბოლგარიის სტუდენტები 200 კაცამდე ბელგრადს მიდიან, რათა სამაგიერო დარბაზი გადაუხადონ თავის ამხანაგებს.

**პეტროზავოდსკი.** გუბერნატორის განკარგულებით «ოლონეცკის საგუბერნიო უწყებანი» აჟართოვებენ თავის პროგრამას უნდა ჩაურთონ განყოფილება სამხედრო ამბავთა. სოფლელთათვის ფასი დაკლებულ იქნა.

**პეტერბურგი.** არავითარი საყურადღებო ამბავი არა მომხდარა-რა.

დროებითი რედაქტორი **გრ. ყიფშიძე.**
გამომცემელი **ა. სარაჯიშვილი.**

## გამოსადეგნი ცნობანი:

**პეტერბურგის ბირჟა**
13 აპრილი 1904 წ.

ვექსილის კურსი 3 თვით:

| | |
|---|---|
| ლონდონში 10 გირვ. სტ. | 94,05 |
| ბერლინში 100 მარკაში | 45,95 |
| პარიჟში 100 ფრანკში | 37,42½ |
| ლონდონში ჩეკები | 94,65 |
| ბერლინში ,, | 46,30 |
| პარიჟში ,, | 37,67½ |
| ბირჟის დისკონტი | 6—7½% |
| 4% სახელმწიფო რენტა | 92¾ |
| 4% სახ. სესხი 1902 წ. | — |
| 4% გირავნ. ფურც. სახელ. საადგ. მამულო ბანკისა | 91½ მყიდ. |
| 5% პირ. შინაგ. მომგ. ბილ. 1864 წ. | 378¾ |
| 5% მეორე შინაგ. სესხის მომგებ. ბილ. 1866 წ. | 305 წვრ. გაყ. |
| 5% გირავნ. ფურც. სახელმ. საადგ.-მამ. ბანკისა | 275½ წვ. გაყ. |
| 5% ობლიგაციები ტფილ. საკრედიტო საზოგ. | — |
| 4½% ობლიგაც. იმავე საზოგადოებისა. | — |
| 4½% ტფილ. საადგ. მამ. ბანკის გირავნ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნობის ფურც. იმავე ბანკისა | — |
| 6% ქუთ. საად. მამ. ბანკის გირ. ფურცლ. | — |
| 5% გირავნ. ფურც. იმავე ბანკისა. | — |

# განცხადებანი


## 70% ეკონომია 70%

უკანასკნელ დროის კონკურენციისა და საწყობში დიდ-ძალ დამხადებულ საქონლის გამო და აგრეთვე ფირმის გასაძლიერებლად, იძულებულნი ვართ დაუთმოთ ძალიან დაკლებულ ფასად.

მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით

ქვემოთ-ჩამოთვლილი სასარგებლო და ფასიანი 8 ნივთი. 1) **საათი** გაშავებულ ფოლადისა კაცისა ანუ ქალის ანუ კაცისა დაფერილი ოქროთი (გატარებული ცეცხლში) ძალიან მშვენიერია, მაგარი მექანიზმით და 6 წლის ბულღავანობით. 2) **ძეწკვი ახალი ოქროსი** პრტყელი (პანცირისა) ანუ მოკლე ნიკელისა ან ქალისთვის ყელისა ახალი ოქროსი. 3) **ბრელოკი** ახალი ოქროსი, «კომპასი» ანუ სხვა. 4) **მეშის ქისა** საათის შესანახად. 5) ჯიბის ელექტრონული ფარანი, რომელიც იძლევა ძლიერ სინათლეს ანუ **ბეჭედი ოქროსი 56 დავლისა** ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ქამარზედ ჩამოსაკიდებელი. 6) **კალმის დანა** საუცხოვო საზღვარ-გარეთის ფოლადისა ან **მუშტუკ აპარატი** უვნებელ წევისათვის ან შეფერილი მაკრატელი. 7) ტყავის ქისა ერთი სახურავით და 7 განყოფილებით, მექანიკურ საკეტით და მყიდველის სახელის, მამის სახელის და გვარის ბეჭედით. 8) **ქისა** საზღვარ-გარეთის ტყავისა მისალოც ბარათებისთვის, ქაღალდებისთვის და საბუთის წერილებისათვის ან წყვილი საყურე ოქროსი 56 დამლისა ქვებით. ყველა ამას ვგზავნით მუქთ საჩუქრათ უბეოდ ფას დადებით მარტო 5 მან. და 90 კაპ. გაგზავნით. თავ-სახურავიანი საათი დამატებით, 1 მან. და 50 კაპეიკით მეტი ღირს.

მსურველთ მიჰმართონ ამ ადრესით:
Главному Складу Часовъ Торговаго Дома.
*Ш. Якобсонъ въ Варшавѣ, Тверская,* 32/350

აზიის რუსეთსა და ციმბირში უბეოდ არ გაეგზავნებათ და გადახდებათ აგრეთვე ნაწილი გასაგზავნ ხარჯისა.

პრეისკურანტი უფასოდ.

(3—6—1)


## გამგე კომიტეტი

ღარიბ მოწაფეთა დასხმარებისთვის ტფილისის გუბერნიის თავად-აზნაურთა საზოგადოებისა აუწყებს საზოგადოების წევრთ, რომ ამა წლის მაისის ოცსა, ხუთშაბათს, საღამოს რვა საათზე, ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის სადგომში დანიშნულია წლიური საზოგადო კრება საზოგადოების წევრთა

**განსახილველია:**

1) ანგარიში საზოგადოების 1903 წლის მოქმედებისა და გამგე კომიტეტის მოხსენება ამ ანგარიშის გამო.

2) სავარაუდო აღრიცხვა შემოსავალ-გასავალისა 1904 წლისთვის.

3) მოხსენება გამგე კომიტეტისა საზოგადოების ახალის სახლის ვერაზე აშენების შესახებ.

4) საპენსიო წესდება სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

5) შევსება საზოგადოების წესდების §§ 4 და 18.

6) მოხსენება ახალის შტატების შესახებ სათავად-აზნაურო სკოლის მოსამსახურე პირთათვის.

7) მოხსენება გამგე კომიტეტისა სათავად-აზნაურო საქალო სკოლის შესახებ.

8) სხვადასხვა წვრილმანი საკითხი.

9) არჩევანი კომიტეტის ერთის წევრისა ნაცვლად გ. დ. ქურულისა, რომელმაც ვადის გასვლამდე თავი გაანება წევრობას.

(3—6—1)

**ტფილისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის ზედამხედველი კომიტეტი**, თვისის წესდების 91 §-ის ძალით, აუწყებს ზემოხსენებულ ბანკის ბ-ნთ რწმუნებულთ, რომ ამა წლის 18 მაისისათვის, დილის 10 საათზედ, ბანკის სადგომში, ფრეილინის ქუჩაზედ, ტფილისში, დანიშნულია

## საზოგადო კრება

**განსახილველი საგნები:**

1) ანგარიში ბანკის მოქმედებისა 1903 წ. საოპერაციო წლის განმავლობაში და ზოგადი მის შესახები მოხსენება.

2) მოხსენება იმისი, თუ რა მდგომარეობაშია ბანკის სადაო საქმეები სასამართლოებში.

3) მოხსენება იმ მამულების თაობაზედ, რომელიც ბანკის დარჩა.

4) მოხსენება ბანკის მოხელეთათვის დამზოგველ-შემწევნელ კასის შესახებ.

5) მოხსენება ბანკში დასაგირავებლად წარმოდგენილ მამულების დასაფასებელ ინსტრუქციის შეცვლისა და დამატებისათვის.

6) მოხსენება ზედამხედველ კომიტეტის რეორგანიზაციისათვის.

7) ბანკის სავარაუდო შემოსავალ-გასავლის აღრიცხვა 1904 წლ.

8) არჩევანი გამგეობის ერთის წევრისა და დამფასებელ კომისიის ორის წევრისა, იმათ მაგიერ, რომელნიც რიგით თავს ანებებენ სამსახურს: გამგეობის წევრის ა. ნ. ფურცელაძისა და დამფასებელ კომისიის წევრთა: თ-დ გ. ს. ციციშვილისა და თ-დ გ. ი. რატიშვილის მაგიერ; აგრეთვე არჩევანი ერთის კანდიდატისა გამგეობის წევრისათვის და ორის კანდიდატისა დამფასებელ კომისიის წევრთათვის.

(3—3




როიალები პიანინო



ფის-გარმონები, სკრიპკები, გიტარები ფლეიტები, კლარნეტები, ნოტები, სიმები და სხ.-და-სხ.



ყველა ამ სამუსიკო იარაღის შეძენა შეიძლება ფასის წვრილ-წვრილად გადახდით.

პრეისკურანტები მუქთად იგზავნება.

კავკასიის ცენტრალი საწყობი სამუსიკო საგრავებისა.

**ბ. მ. მირიმანიანისა.**

**МУЗЫКАЛЬНОЕ ДЕПО**
**В. М. МИРИМАНІАНЪ**
Тифлисъ, Дворцовая ул.

(25—6—21)



მოითხოვეთ ყველგან ნამდვილი

„ოდოპრიმი“ მ ვ. ლეპეშკის“

ეს წამალი სრულიად აქრობს რამდენიმე დღეში ძველს ბებერას და მეტ-ხორცს-ძირიან-ფესვიანად. მხოლოდ ეტიკეტი უნდა ჰქონდეს, მთავრობისაგან დამტკიცებული № 22473.

იყიდება ტფილისში—საფთიაქო საქონლის კავკასიის სავაჭრო ამხანაგობასა და მის განყოფილებებში ბაქოსა და ბათუმში.

ზღვაზე, მდინარეებზე და ხმელეთზე ბარგის გადაზიდვისა და დამზღვევის ს.-პეტერბურგის კომპანიის

## „ნადეჟდა“-ს

ტფილისის საგენტო ამით საყოველთაოთ აცხადებს, რომ სააგენტოს საქონლის მთავარი საწყობი, რომელიც აქამომდე იმყოფებოდა ზუბალოვის სახლებში, კათოლიკეთა ქუჩაზე, 1904 წლის

**11 აპრილიდან გადატანილი იქნება**

მანთაშოვის ახალ ქარვასლაში, სომხის ბაზარში.

შესასვლელი ეგზარხოსის მოედნიდან, სახელოსნო სასწავლებლის პირდაპირ.

საქონლის მიღება შეიძლება ყოველ დღე კვირა დღეების გარდა დილის 9 საათიდან ნაშუადღევის ორ საათამდის და საღამოს 5 საათიდან 7 საათამდე.

საწყობის ტელეფონი № 370. სააგენტოს ტელეფონი № 108. (5—6.—3)



## სწორედ მუქთია,



იტყვის ყველა, ვინც გამოიწერს ჩვენგან მხოლოდ **5 მ. 45 კ.** ჩვენისავე გაგზავნით.

უგზავნით 7 შემდეგს ნივთს: 1) **საათი** გაშავებული ფოლადისა, ქალისა ანუ კაცისა, მაგარის მექანიზმით, სწორის მუშაობით, 6 წლის ვადით ბულღავანობით; 2) მეის ბუდე საათისთვის; 3) **ძეწკვი** საათისა, ქალისა ანუ კაცისა; 4) **ბრელოკი** ახალი ოქროსი „კომპასი“, ანუ «ბინოკლი» საინტერესო სანახავით ან სხვ.; 5) ტყავის ქისა პულისთვის მთელის ნაჭრისა, 7 განყოფილებით და მყიდველის ბეჭდით; 6) **მუშტუკი** დ-რის კოხისა თამბაქოს მწეველთათვის, ანუ კალმის დანა; 7) **ოქროს ბეჭედი** 56 რობისა ან ჯიბის ელექტრონის ფარანი, ანუ ტყავის პორტსიგარი ან მეშის ჩანთა ამარზე ჩამოსაბმელი. თავსახურავიანი საათი გაეგზავნება, ვინც 6 მ. 75 კ. გამოგზავნის.

შეკვეთილი ნივთები გაეგზავნებათ დაუყოვნებლივ და კეთილ სინიდისიერად. ბეს გამოგზავნა საჭირო არ არის, ნივთები ფასდადებით გაეგზავნებათ.

ადრესი: **სავაჭრო სახლი ფელიკიანი და კომპ., ვარშავა, 36—333**

P. s. აზიის რუსეთსა და ციმბირში ნაწილი გზის ხარჯისა მყიდველთ გადახდებათ და ნივთებიც მხოლოდ წინადვე ბეის მიღების შემდეგ გაეგზავნებათ.

3—6—2)

მ ს წ რ ა ფ ლ მ ბ ე ჭ დ ა ვ ი

## სტამბა

ექვთიმე ივ. ხელაძისა,

რომელიც იმყოფება რუსის ბაზარში, (იარმუკაში) სომხის სასულიერო სემინარიის სახლებში;

იღებს ყველა-ნაირ საბეჭდავ საქმეებს, როგორც რუსულს და ქართულს, აგრეთვე ყველა უცხო ენებზედაც.

სტამბას აქვს დამზადებული საფაბრიკო ინსპექციისაგან ახალი შემოღებული ყველა დავთრები და წიგნაკები, აგრეთვე პოლიციის და სამსაჯულო ბოქაულების დავთრები.

ფასი ყველასთვის ხელმისაწდომი.


## ბალანსი ტფილისის სამეურნეო ბანკისა

1 აპრილს, 1904 წელს.

**აქტივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. კასა (ქაღალ. და ოქრო-ვერცხლის ფული). | 17756 | 34 |
| II. მიმდინარე ანგარიშები: კერძო საკრ დაწესებ. | 7934 | 93 |
| III. პირობა დადებული მიმდინარე ანგარიში სახელმწ. ბანკის ტფილისის განყოფ. | 1100 | 29 |
| IV. სარგებლიანი ქაღალდები, საზოგადოების საკუთვნონი: ა) უზრუნველ-ყოფილნი: 1591—76; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილნი 8379—50 | 9971 | 26 |
| V. სარგებლიანი ქაღალდები, სათადარიგო თანხის საკუთვნონი | 8567 | 24 |
| VI. განაღდება თამასუქებისა, რომელზედაც ორს კაცზე არა ნაკლებს უწერია ხელი | 295224 | 80 |
| VII. სოლო-ვექსილით გაცემული სესხი, უზრუნველ-ყოფილი სოფლის უძრავის მამულით. | 500 | — |
| VIII. პროტესტ-ქმნილი ვექსილები. | 1675 | — |
| IX. განაღდება ვადიანი ქაღალდებისა. | 1473 | 15 |
| X. გირაოთი გაცემული სესხი: ა) სახელმწიფოს ა მთავრობის მიერ უზრუნველ-ყოფილ ფას. ქაღალ. 20026—50; ბ) არა-უზრუნველ-ყოფილ ქაღ. 56106—00; გ) საქონელზედ 23966—00; დ) სასოფლო-სამეურნეო ნაწარ. 9079—00 | 109177 | 50 |
| XI. %% კუპ., %% ქაღ. სათ. თანხ. საკუთ. | 1 | 64 |
| XII. დასაბრუნებელი ხარჯი | 86 | 06 |
| XIII. მოწყობა და მომართვა | 2070 | 96 |
| XIV. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 71126—33; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 34605—09 | 105731 | 42 |
| XV. გერბის გარდასახადი და თამასუქის ქაღ. | 357 | 77 |
| XVI. სხვა-და-სხვა დებიტორები | 740 | 18 |
| XVII. მიმდინარე ხარჯები | 5607 | 30 |
| ბალანსი | 567975 | 84 |

**პასივი.**

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| I. თანხა, რომელიც შემდგარია საზოგადოების 815 წევრისაგან ნაღდ ფულად შემოტანილ ხვედრ ფულის 10%-გან. | 90941 | — |
| II. სათადარიგო თანხა: | 8592 | 26 |
| III. შემოტანილი თანხა: ა) მიმდინარე ანგარიშით 126245—05; ბ) ვადით 141065—21; გ) უვადოთ 1640—00 | 268950 | 26 |
| IV. გარდასაცემი თანხა | 1796 | 51 |
| V. გარდასახდელი სარგებელი | 887 | 15 |
| VI. სახელმწიფო 5%-იანი გარდასახადი თანხათა შემოსავლისა | 27 | 04 |
| VII. წევრთა მიერ შემოტანილი და უკან არ მოთხოვნილი საზოგად. წესდ. მე-12 და-13 §§-ის თანახმად | 826 | — |
| VIII. გასაგზანათ მიღებული თანხა | 1285 | 17 |
| IX. კორესპონდენტები: ა) იმათის ანგარიშით (loro) 26448—06; ბ) ჩვენის ანგარიშით (nostro) 56330—42 | 82778 | 48 |
| X. სპეციალ. მიმდინარე ანგარიში სახელმ. ბანკის ტფლისის განყოფ. | 20000 | — |
| XI. გადაგირავებული ვექსილები: ტფილ. სახ ბანკის განყოფილებაში 49830—00; სხვა ბანკებში 26150—00 | 75980 | — |
| XII. წაუღებელი დივიდენდი წარსულ წლებ. | 3520 | 70 |
| XIII. მიღებული სარგებელი | 6355 | 90 |
| XIV. 1903 წლის წმინდა მოგება. | 5995 | 37 |
| XV. მოგებული და დაკარგული 1904 წლისა. | 40 | — |
| ბალანსი. | 567975 | 84 |
| პასუხის-მგებლობა 815 წევრისა 10%-იან შემოსატან გარდ. | 818469 | — |
| საზოგადოებას აქვს შესანახად გარდაცემული ქონება | 9900 | — |
| თამასუქები საკომისიოდ. | 12118 | 94 |

Дозволено цензурою Тифлисъ 20 апрѣля 1904 г. Тип. Е. И. Хеладзе. Рус. базаръ, домъ арм. семинаріи